

# ქართული ენის შერეული კურსი

## კურსის შესახებ

კურსის მიზანია, შემსწავლელი ფლობდეს ქართულ ენაზე მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის კომპეტენციებს ენების საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით ა1.1 დონის შესაბამისად და შეძლოს საკუთარი პიროვნებისა და სხვების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება და გაცემა, ნაცნობი სიტყვებისა და მარტივი ფრაზების ამოცნობა, მარტივი კომუნიკაციის დამყარება, თუ თანამოსაუბრე ყოფით თემებზე ნელა და გარკვევით საუბრობს.

ამასთან შემსწავლელი გააცნობა ქართულენოვანი გარემოს ყოფითი კულტურის ელემენტებს და შეძლებს ადევნებურ ენობრივ-კულტურული ქმედებას თავისი ენობრივი დონის შესაბამისად.

## ივლითა ლობჯანიძე

ივლითა ლობჯანიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის მონვეული ლექტორია. იგი ფლობს ფილოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მონაწილეობდა სხვადასხვა კვლევით პროექტში. რამდენიმე სახელმძღვანელოსა და სასწავლო კურსის თანაავტორია. აქვს ლექციებისა და ტრენინგების ჩატარების მრავალწლიანი გამოცდილება.

## თინა ყაზარაშვილი

თინა ყაზარაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის მონვეული ლექტორია. იგი არის ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმაღლესი განათლების ადმინისტრირების მენეჯერი.

ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სხვადასხვა კურსს ასწავლის 2016 წლიდან. მონაწილეობს ამავე პროგრამის რამდენიმე კურსის მასალების შექმნასა და რედაქტირებაში. 2017 წლიდან სერტიფიცირებული პედაგოგია ქართულის, როგორც მეორე ენის, მიმართულებით.

აქვს ქართული ენის შემსწავლელი კურსის ონლაინვერსიის შემუშავების, ასევე ა1, ა2+, ბ2, ბ2+ სახელმძღვანელოს კომპლექტზე მუშაობის გამოცდილება.

აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების ქართული ენის ცოდნის დადგენის მიზნით შექმნილი გასაუბრების კომისიის წევრობის/სხდომის მდივნობის გამოცდილება.

## მაკა ნოზაძე

მაკა ნოზაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი და მონვეული ლექტორია. 2014 წლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ასწავლის კურსებს შესავალი თანამედროვე აზროვნებაში და ქართული, როგორც მეორე ენა. 2019 წლიდან ასწავლის ქართულს, როგორც უცხო ენას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე.

მონაწილეობს ქართულის, როგორც მეორე ენის კურსისათვის საჭირო სასწავლო მასალების შექმნაში.

მაკა ნოზაძე ქართული ენისა და ლიტერატურის (VII-XII კლასები) სერტიფიცირებული პედაგოგია 2012 წლიდან.

## თამთა ჩაჩუა

თამთა ჩაჩუა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, განათლების ადმინისტრირების მაგისტრი.

ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამის სხვადასხვა კურსს ასწავლის 2016 წლიდან. მონაწილეობს ამავე პროგრამის სხვადასხვა კურსის მასალების შექმნაში. აქვს ა1, ა2+, ბ2, ბ2+ სახელმძღვანელოს კომპლექტზე მუშაობის გამოცდილება. 2017 წლიდან სერტიფიცირებული პედაგოგია ქართულის, როგორც მეორე ენის მიმართულებით. 2018 წელს მონაწილეობდა ქართული ენის შემსწავლელი კურსის ონლაინვერსიის შემუშავებაში.